ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3580226

ნომერი: AR1543484

თარიღი : 25.09.2017

გაცემის თარიღი : 02.10.2017

გაცნობის თარიღი : 03.10.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 29 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თეიმურაზ ლაგვილავა პ/ნ 19001003948
- გუთნის 11

ორგანიზაცია:
- სს"პირიმზე" კოდი: 204389866

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის

გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 2017 წლის 25 სექტემბრის AR1543484 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირ N29-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.14.14.012.027) მრავალფუნქციურ კომპლექსზე რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას. პასუხად გაცნობებთ, რომ ვინაიდან მიშენება-დაშენება რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო ფარგლებში უნდა განხორციელდეს, ხოლო თქვენს მიერ წარმოდგენილი ესკიზიდან ირკვევა, რომ ლიფტის შახტის მიშენება საპროექტო არეალის მიღმა ხორციელდება, შესაბამისად აღნიშნული საკითხი განხილვას არ ექვემდებარება, ამასთან ახალი საპროექტო არეალი შერჩეულია ხე-ნარგავებთან მიმართებაში, გასხვისების არეალის დაცვასთან დაკავშირებითი, მოქმედი ნორმატივის პრინციპის დარღვევით, ამიტომ ლიფტის შახტის განთავსება უნდა მოხდეს შენობის შიდა სივრცეში ან მოძებნილ იქნას აღნიშნული მიწის ნაკვეთის ფარგლებში ალტერნატიული ადგილი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.